

**ს.ს.ი.პ საქართველოს ადგოკატთა ასოციაციის  
აღმასრულებელი საბჭოს  
სხდომა**

**5 ივნისი 2009 წელი**

**ს.ს.ი.პ საქართველოს ადგოკატთა ასოციაციის მისამართი:  
ქ. თბილისი, ბარნოვის ქ. №75**

**სხდომის დაწყების დრო: 19:00სთ.**

**სხდომაზე დამსწრე აღმასრულებელი საბჭოს წევრები:**  
გოჩა სვანიძე (თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი), დავით ასათიანი, როინ  
მიგრიაციი, დავით ლანჩავა, ზვიად კორძაძე, ზაზა ხატიაშვილი.

**სხდომის თავმჯდომარე: გოჩა სვანიძე**

**დღის წესრიგი:**

**წესრიგი:**

1. ადგოკატთა რეესტრის ფორმულარის დამტკიცების შესახებ.
2. რეგიონებში მომუშავე ადგოკატებზე შედაგათის გავრცელების წესის შეცვლის შესახებ.
3. აღმასრულებელი საბჭოს წევრის ზ. ხატიაშვილის წერილის განხილვის შესახებ;
4. საშტატო სტრუქტურის ცვლილების შესახებ;

5. გასარიცხ წევრთა სიის გამოქვეყნებისა და დამატებითი გადის დადგენის შესახებ.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთან დაკავშირებით

### **სხდომაშ მოიხმინა:**

წარმოდგენილი ფორმულარის განხილვისას საბჭოს წევრებმა გამოთქვეს სხვადასხვა მოსაზრებები:

**ზვიად კორძაძე** - მონაცემთა ბაზის სრულყოფისთვის, პირველ რიგში უნდა გამოვაქვეყნით სია და მოვთხოვოთ ადვოკატებს რეკვიზიტების მოწოდება. სევე, მოსაფიქრებელია მექნიზმი, რითაც დავადგენთ ვინ ახორციელებს რეალურად სადვოკატო საქმიანობას.

**გოჩა სვანიძე** - უნდა ადინიშნოს, რომ მოწმობების შეცვლა კარგია, მაგრამ ამ ეტაპზე თავის შეკავება მოგვიწევს.

**დავით ლანჩავა** - მე მაინტერესებს, საგადასახადო რეგისტრაციის ან ფირმიდან ცნობის გარეშე ხო შეზღუდულია საქმიანობის განხორციელება...

**ზვიად კორძაძე** - ჩვენ უნდა განვიხილოთ ერთი ძალიან მნიშვნელოვანი საკითხი: კანონში გვიწერია, რომ პირმა სვიდი წლის შემდეგ ტესტირება თავიდან უნდა გაიაროს თუ არ დაიწყო საქმიანობა. ჩვენ აუცილებლად უნდა განვსაზღვროთ ვინ არის ადვოკატი. ხომ არ მოვითხოვოთ ინფორმაცია ფირმიდან ან საგადასახადოდან.

**დავით ლანჩავა** - ამ ფორმულარიდან საგადასახადო საერთოდ უნდა ამოვილოთ.

**ზვიად კორძაძე** - არიან ადამიანები ვინც საჯარო სამსახურსია და აქაც ზუსტი ციფრია დასადგენი.

**გოჩა სვანიძე** - რა მონაცემებიც გვაქვს უნდა გამოვაქვეყნოთ საიტზე და მივცეთ ვადა მონაცემთა ბაზის სევსებისთვის. ს არის გარდამავალი ეტაპი, ჩვენ ვიწყებთ ბაზის სრულყოფას.

**ზვიად კორძაძე** - ჩვენ თუ ინფორმაციულად ეს შევავსეთ, ჩავტვლი რომ დიდი საქმე გაკეთდა. ჭესდებასი უნდა გავამკაცროთ ნორმა საჯარო სამსახურში მუშაობის შეუტყობინებლობის გამო გარიცხული წევრის უკან დაბრუნების პროცედურა.

**დავით ლანჩავა** - გარდა ამისა, სწავლა და კვალიფიკაციის ამაღლებაა ყველაზე მთავარი.

**ზვიად კორძაძე** - ვეტანხმები, ეს საკიტხი უდაოდ წამოსაწევია.

1. რამდენიმე ცვლილების გათვალისწინებით ერთხმად დამტკიცდა სხდომაზე წარმოდგენილი ფორმულარი და მისი ამოქმედების ვადად განისაზღვრა 2009 წლის 1 ივლისი. (დანართი №1)

დღის წესრიგით გათვალისწინებულ **მეორე** საკითხის განხილვა გადაიდო რეესტრის ფორმულარის ამოქმედებამდე.

დღის წერიგით გათვალისწინებულ მესამე საკითხთან დაკავშირებით

### **სხდომაშ მოიხმინა:**

**ზაზა ხატიაშვილი** – კახა ასლანიშვილს შრომის ანაზრაურება 5 000 ლარის ოდენობით აღმასრულებელმა საბჭომ განუსაზღვრა იმიტომ, რომ მან ერთი წელი უხელფასოდ იმუშავა. აღნიშნულის მიუხედავად, მან აღმასრულებელი საბჭოს გვერდის ავლით მიითვისა 50 000 ლარი, როთაც ასოციაცია ჩავარდა მზიმე მატერიალურ მდგომარეობასი. ე ვთვლი რომ ასოციაციის თავმჯდომარის მოვალეობის სემსრულებელმა უნდა უზრუნველყოს სარჩელის შეტანა სასამართლოში.

**გოჩა სვანიძე** – ეს ის თემაა, რომელზეც უნდა დაფიქსირდეს აღმასრულებელი საბჭოს ყველა წევრის თანხმობა. მე რომ მკითხო ეს თანხა მოსათხოვია, მაგრამ თუ ერთი წევრიც იტყვის უარს, სარჩელი არ უნდა შევიდეს.

**დავით ლანჩავა** – უკანონოდ რომ წაიღო ცალსახაა და ვიცით, მაგრამ ეხლა სასამართლოში წასვლა არ არის სწორი. სირცხვილია ჩვენი მხრიდან სარჩელის შეტანა.

**როინ მიგრიაჟლი** – სახეზეა უკანონო ქმედება, ზიანის მიუენების ფაქტი. მე მომხრე ვარ, რომ სარჩელი შევიდეს.

**ზაზა ხატიაშვილი** – სავალდებულოა რომ სარჩელი შევიდეს. ჩვენ თუ რეაგირებას არ მოვახდეთ, ჩვენც გავისვრებით.

**ზვიად ქორძაძე** – სარჩელი უნდა შევიდეს, იქნებ მართლდება. უდიტის დასკვნით ფაქტი დასტურდება და ჩვენ რეაგირებას არ ვახდეთ. ირველ რიგში უნდა მივმართოთ კახას ოფიციალური წერილით თანხის დაბრუნების თაობაზე. შეიძლება განვადებით დაბრუნებაც შევთავაზოთ. თუ მცდელობა შედგეს არ გამოიდებს მივმართოთ სასამართლოს.

**გოჩა სვანიძე** – სამოქალაქო კუთხით ვალდებულიც ვარტ, რომ სევიტანოთ სარჩელი. შახელმწიფო ასე არ სენდება, თუ მარტო მისი სტატუსის გამო არ მოვთხოვთ, ეს არ იქნება სწორი. მე ვეთანხმები ზვიადს პირველ რიგში უნდა გაიგზავნოს წერილი.

**დავით ასათიანი** – სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ერთის მხრივ, თავმჯდომარე თითქმის ერთი წლის განმავლობაში არ იდებდა ხელფასს იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ არ არსებობდა ორგანო (აღმასრულებელი საბჭო), რომელიც განსაზღვრავდა მისი ხელფასის ოდენობას, მაშინ როცა შრომის სამართლიანი ანაზღაურების მიდების უფლება უზრუნველყოფილია კანონით. მეორეს მხრივ, გასარკვევია ის საკითხი, ასეთ შემთხვევაში პქონდა თუ არა თავმჯდომარეს უფლება გაეგრძელებინა საადვოკატო პრაქტიკა ან განეხორციელებინა სხვა ანაზღაურებადი საქმიანობა. ყველა შემთხვევაში, ამ ეტაპზე, პირდაპირ სარჩელის აღმდეგ მართებულად არ მიმაჩნია. უფრო მიზანშეწონილი იქნება საკითხის გაირკვეს უშუალოდ მასთან, რათა მივიღოთ მისი ახსა-განმარტება და ამის შემდეგ შევეცადოთ პრობლემა გადავჭრათ მოლაპარაკების და ურთიერთშეთანხმების საფუძველზე. ვფიქრობ, რომ ნაჩეარევი სასამართლო პროცედურების დაწყება არ წაადგება არც საკითხის სწორად გადაწყვეტას და არც ასოციაციის რეპუტაციის ამაღლებას შეუწყობს ხელს.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით

## გ ა დ ა წ ყ დ ა:

- კახაბერ ასლანიშვილს გაეგზავნოსს წერილობით მოთხოვნა თანხის დაბრუნების თაობაზე. რეაგირების არარსებობის შემთხვევაში მომზადებეს სარჩელი სასამართლოში წარსადგენად.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ **მეოთხე** საკითხთან დაკავშირებით

### სხდომაშ მოიხმინა:

**გოჩა სვანიძე** – რაც შეეხება ასოციაციის სტრუქტურას და სახელფასო განაკვეთებს, პირველ რიგში ხელფასი არ უნდა იყოს აშშ დოლარში გამოსახული და ეს უნდა შევცვალოთ. დღეს უნდა განვიხილოთ სამუშაო ვერსია, რომელიც ამ რეჟიმში მუსაობისას გამოგვადგება. საბჭოს და ეთიკას ეყოლება თითო კოორდინატორი. ვებ ადმინისტრატორი ცალკე არ არის საჭირო ამ ფუნქციას PR მენეჯერი შეითავსებს. გაუქმდება ფოტოგრაფის შტატიც. დაემატება 2 სიის მწარმოებელი.

**დავით ლანჩავა** – ჩემი აზრით სიის მწარმოებელი ორი არ არის საჭირო.

**გოჩა სვანიძე** – რაც შეეხება ტესტირების თემას, ამ პროცესი ყველა იქნება ჩართული.

**როინ მიგრიაული** – სასწავლო ცენტრს ჭირდება კოორდინატორი.

**გოჩა სვანიძე** – სანამ ეთიკის კომისია არ ფუნქციონირებს ამას სეიტავსებს ეტიკის კოორდინატორი. ასევე ვტოვებთ ბურალტერისა და ოფის მენეჯერის საშტატო ერთეულებს. კურიერს და დასუფთავებას დარჩება იგივე ხელფასი. სიის მწარმოებელს ექნება ყველაზე მაღალი ხელფასი. შესაზღებელია არმასრულებელი საბჭოს კოორდინატორს ქონდეს მარალი ხელფასი და თავმჯდომარის არყოფნის დროს მიხედოს აპარატს.

**ზეიად კორპაძე** – ჩემი აზრით უნდა გვყავდესადმასრულებელი დირექტორი.

**ზაზა ხატიაშვილი** – და შეიძლება მაგან აწარმოოს სიაც.

**დავით ლანჩავა** – დავარქვათ აპარატის უფროსი.

**გოჩა სვანიძე** – აპარატი უნდა ემორჩილებოდეს მხოლოდ ტექნიკურ საკითხებში.

**ზეიად კორპაძე** – თუ ამ სისტემას შემოვიტანო, აპარატის უფროსი გარედან უნდა მოვიყვანოთ. ასევე, უცხო ბუღალტერი.

**დავით ლანჩავა** – უარესად ხომ არ დაიძაბება სიტუაცია უცხო ადამიანის მოყვანით.

ქ კოლექტივი კარგია. დამდენად კარგად არიქმება კიდე ვინმე სხვა უფროსი.

**გოჩა სვანიძე** – ახლა ავხსნი რატომ არის უცხო საჭირო: აქ, ვისაც რა უნდა იმას აკეთებს. ეს უნდა სეიცვალოს. მე ვგულისხმობ ყოველწლიური კონტროლის აუცილებლობას.

საბჭოს წევრებმა დაამტკიცეს სხდომაზე წარმოდგენილი საშტატო განრიგი:

<b>თანამდებობა/პოზიცია</b>	<b>ხელფასი</b>
აპარატის უფროსი	1500
აღმასრულებელი საბჭოს კოორდინატორი	800
ლოჯისტიკისა და სამეურნეო მენეჯერი	1000
ეთიკის კომისიის კოორდინატორი	800
სასწავლო ცენტრის კოორდინატორი	600
PR მენეჯერი	1200
ბუღალტერი	1200
მდივან-რეფერენტი	600
მდივან-რეფერენტი	600
კურიერი	300
დამლაგებელი	400

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეხუთე საკითხთან დაკავშირებით საბჭომ ერთხმად გადაწყვიტა:

1. ადმინისტრაციული წარმოების დაწყება;
2. ადმინისტრაციული წარმოების ვადად განისაზღვრა 15 ივლისი;
3. დაევალა PR მენეჯერს დავალიანების მქონე ადვოკატთა სისა და გამაფრთხილებელი განცხადების გამოქვეყნება:

„ გატყობინებთ, რომ 2009 წლის 15 ივნისს დაიწყო ადმინისტრაციული წარმოება საწევრო დავალიანების მქონე წევრთა გამოვლენისა და გარიცხვის საფუძვლით.

საქართველოს ზოგად ადმინისტრაციული კოდექსის 95-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად გაცნობებთ:

- ა) ადმინისტრაციულ ორგანოს, რომელშიც მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება – ს.ს.ი.პ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია”, მისამართი: თბილისი, ბარნოვის 75. ტელ: 8 22 22-46-64, 8 22 18-34-86.
- ბ) ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თარიღი 2009 წლის 15 ივნისი;
- გ) ადმინისტრაციული წარმოების საგანი - საწევრო გადაუხდელ პირთა გარიცხვა;
- დ) წარმოებაში მონაწილე დაინტერესებულ პირთა ვინაობა – ასოციაციის წევრები, რომელთაც ქრიცხებათ საწევრო დავალიანება.

გ) ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის თარიღი  
– 2009 წლის 18 ივნისი.

დაინტერესებულ პირთა მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში მთავრდება  
2009 წლის 15 ივნისს.

გარიცხვის კანდიდატთა სავარაუდო სია გამოქვეყნდება ასოციაციის ვებ-  
გვერდზე [www.gba.ge](http://www.gba.ge) და ასევე, შეგიძლიათ გაეცნოთ ასოციაციის ოფისში.

გარიცხულ ადვოკატთა სია გადაეცემა სასამართლოებს და სასჯელადსრულებით  
დაწესებულებებს.

პ.ს. იმ წევრთა საყურადღებოდ რომელთა გვარი არასწორად დაფიქსირდა  
ხემოთ აღნიშნულ სიაში გთხოვთ დაუკავშირდეთ ასოციაციის ოფისს  
(+995 32 22 46 54, +995 18 34 86)"

### გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად

გადაწყვეტილების მიღებისას აღმასრულებელი საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ და  
ხელს აწერენ:

გოჩა სვანიძე

დავით ლანჩავა

ზვიად კორძაძე

დავით ასათიანი

როინ მიგრიაული

ზაზა ხატიაშვილი

